

კლოდ ანე

ისფაჰანის ვარდები - სპასეთში ავტომობილით რუსეთისა და კავკასიის გავლით

1905 წლის რევოლუციის დროს საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა ფრანგმა ჟურნალისტმა, კლოდ ანემ (1868-1931), რომლის ნამდვილი სახელია ჟან შოპფერი. ის აქტიურად თანამშრომლობდა ყოველდღიურ ფრანგულ გაზეთებთან – „Le Temps“, „Le Journal“ და „Le Petit Parisien“. მისი თანამგზავრები იყვნენ: ვლახეთის ყოფილი გოსპოდარის ვაჟი, პარიზში დამკვიდრებული ცნობილი ავიატორი და სპორტსმენი – პრინცი გეორგ-ვალენტენ ბიბესკო (1880-1941), მისი მეუღლე – პრინცესა მარტა ბიბესკო (1886-1973) – პარიზის მაღალი საზოგადოების თვალსაჩინო ქალბატონი; ვლახეთის გოსპოდართა ოჯახის წევრი, პრინცი ემანუელ ბიბესკო; რუმინეთის საკანონმდებლო ორგანოს წევრი მიჰაი ფერეკიდი და მარია – მისი მეუღლე; ლეონ ლეონიდა – რუმინელი სპორტსმენი. ისინი სამი ავტომობილით მგზავრობდნენ: 40 ცხენის ძალის მქონე 1904 წლის გამოშვების მოკლე შასიანი, ღია მერსედესით, 20 ცხენის ძალის მქონე მერსედესითა და იმავე წლის და იმავე დახასიათების 16 ცხენის ძალის მქონე ფიატით. მოგზაურებს ახლდათ სამი მექანიკოსი – შვეიცარიელი კელერი, ფრანგი ეჟენი და რუმინელი გიორგი<sup>1</sup>.

კლოდ ანეს დღიურების სახით დაწერილი თხზულება დოკუმენტური მასალაა თბილისში 1905 წლის აპრილ-მაისში არსებული ვითარების შესახებ. წიგნს ერთვის მდიდარი ფოტომასალა.

**Claude Anet. Les Roses d'Ispahan – La Perse en automobile à travers la Russie et la Caucase. A la princesse Georges Valentin Bibesco et à Madame Michel Charles Phérékyde je dédie respectueusement le récit d'un voyage dont elles ont partagé avec moi, et ennobli, les émotions. Paris, Société d'Édition et de Publication, Librairie Félix Juven, 1907**

Ruminant ces pensées noires, nous traversons Tiflis, la Koura aux eaux rapides, et descendons enfin à l'hôtel de Londres où des soldats font de leur mieux pour nous recevoir. (84)

ამ ბნელი ფიქრებით გადავკვეთეთ თბილისი, ადიდებული მტკვარი და ბოლოს და ბოლოს მივედით სასტუმრო „ლონდონში“<sup>2</sup>, სადაც ჯარისკაცები ყველაფერს აკეთებენ ჩვენ მისაღებად.

Vers huit heures, le dimanche, je sonne pour mon premier déjeuner. On frappe à la porte. Je crie: Entrez. Et je vois une grosse tête réjouie de soldat qui passe par la porte entrebâillée. Encore à moitié endormi je ne comprends pas... Ah! oui, ce sont des soldats qui gardent l'hôtel, qui font le service, je suis à Tiflis, bien, bien... et je commence à lui expliquer en russe (!) ce qu'il me faut. Il m'arrête d'un «Guten morgen, mein Herr » qui tout de suite anime la conversation. C'est un Allemand, né à Odessa. J'apprécie à sa valeur la délicate attention du gouverneur qui choisit pour le service des hôtels des soldats polyglottes. (88)

კვირას, დაახლოებით რვა საათზე, ჩემი პირველი საუზმის გამო ვრეკავ. კარზე ვიღაც აკაკუნებს. მე ვყვირი: შემოდით. ნახევრად შეხსნილ კარში ჯარისკაცის დიდ და მხიარულ

<sup>1</sup> Claude Anet. Les Roses d'Ispahan – La Perse en automobile à travers la Russie et la Caucase, XII.

<sup>2</sup> სასტუმრო „ლონდონის“ მმართველები დიდი ხნის მანძილზე ცოლ-ქმარი რიხტერები იყვნენ. 1893 წელს იოჰან ჰენრიხ რიხტერის გარდაცვალების შემდეგ, 1893-1914 წლებში სასტუმროს მართავდა მისი ქვრივი, კატარინა რიხტერი (ხოშტარია, თბილისი. თბილისის სასტუმროები, 51).

თავს ვხედავ. ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში ვერ ვიგებ... ოჰ! დიახ, ეს ხომ ის ჯარისკაცები არიან, რომლებიც სასტუმროს იცავენ და გვემსახურებიან, მე თბილისში ვარ, კარგი, კარგი... და მისთვის რუსულად (!) ვიწყებ იმის ახსნას, თუ რა მჭირდება. მისი ნათქვამი „Guten morgen, mein Herr“<sup>3</sup> მაჩერებს, რაც ერთბაშად აცოცხლებს საუბარს.

Plus tard nous prenons l'air de Tiflis qui est moins en état de siège que les villes d'où nous venons. Des patrouilles de cosaques parcourent les rues et, en l'honneur de Pâques, un certain nombre de soldats se promènent dans les jardins en titubant et donnant tous les signes grâce auxquels on peut diagnostiquer avec certitude l'ivresse. (88)

მოგვიანებით სასაიერნოდ გავდივართ თბილისში, რომელიც ნაკლებად არის ალყაში მოქცეული, ვიდრე ის ქალაქები, საიდანაც ჩამოვედით. ქუჩებში კაზაკების პატრული დადის, აღდგომის პატივსაცემად კი ჯარისკაცების ერთი ნაწილი ბარბაცით დაეხეტება ბაღებში და ყველაფერი იმაზე მიაწინებს, რომ თამამად დაისვას სიმთვრალის დიაგნოზი.

Il fait un jour clair, charmant et voilé avec des coups de soleil soudains sur la vallée de la Koura et sur les maisons pressées de (88) Tiflis. A droite, à nos pieds, ce sont les bazars arméniens et persans, la vieille cathédrale; devant nous les quartiers neufs, le grand boulevard, les jardins du gouverneur et de la ville. De l'autre côté de la rivière, le terrain s'élève rapidement; là sont construits les quartiers ouvriers géorgiens, le couvent arménien sur une hauteur escarpée derrière laquelle passe la ligne de chemin de fer qui mène à Bakou. (89)

ეს ნათელი, მომხიბლავი და ნისლიანი დღეა მზის უეცარი გამონათებით მტკვრის ხეობასა და თბილისის ერთმანეთზე მიდგმული სახლებზე. ჩვენ ქვევით, მარჯვნივ, სომხური და სპარსული ბაზრები და ძველი ტაძარია; ჩვენს თვალწინ ახალი უბნები, დიდი ბულვარი, გუბერნატორისა და ქალაქის ბაღებია. მდინარის გადაღმა ნაპირზე რელიეფი მაღლდება; იქ გაშენებულია ქართველი მუშების უბნები<sup>4</sup>, ციცაბო ფერდობზე სომხური მონასტერი დგას, მის უკან კი ბაქოში მიმავალი რკინიგზის ლიანდაგი გადის.

Les Persans sont là accroupis sur des nattes; ils ont des figures fines, brunes et maigres; le chef, un vieux barbu, a des doigts allongés, desséchés, comme d'un fumeur d'opium. Ils nous montrent des bagues modernes, des armes médiocres, des animaux en fer incrusté d'argent, travail actuel d'Ispahan, quelques morceaux de cachemire dont ils demandent un prix excessif. (89)

სპარსელები ჭილოფზე სხედან; მათ დახვეწილი, მუქი და გამხდარი სახეები აქვთ; მათ უფროსს, წვეროსან მოხუცს, ოპიუმის მწვეველის მსგავსი გრძელი და გამომშრალი თითები აქვს. ისინი თანამედროვე ბეჭდებს, უინტერესო იარაღს, ისფაჰანში დამზადებულ ვერცხლით ინკრუსტირებულ რკინის ცხოველებს და ქაშმირულ ქსოვილებს გვაჩვენებენ, რასაც ძალიან ძვირად აფასებდნენ.

Les révolutionnaires ont trouvé le moment opportun pour hâter l'accomplissement des réformes qu'ils demandent. Il se sont fait ainsi des partisans dans toutes les couches de la population laborieuse. Partout ils ont offert aux travailleurs des programmes nets et explicites; partout les patrons se sont trouvés en face de revendications précises présentées par des ouvriers avertis, assurés de leur droit et parlant haut. J'ai vu les demandes des domestiques; ils veulent une limitation des heures de travail, une nourriture saine, des soins médicaux en cas de maladie; il faut qu'on leur parle poliment; on ne peut les renvoyer sans raison. Nulle part au monde, même aux Etats-Unis où les gens de maison ont des exigences que nous ne connaissons pas, on n'accorde autant aux domestiques. (102)

<sup>3</sup> Guten morgen, mein Herr (გერმ.) – დილა მშვიდობისა, ჩემო ბატონო.

<sup>4</sup> როგორც ჩანს, კლოდ ანე ნამალადევს გულისხმობს..

რევოლუციონერებმა შესაფერისი მომენტი ნახეს მათ მიერ მოთხოვნილი რეფორმების დასაჩქარებლად. ამგვარად, მათ შრომისუნარიანი მოსახლეობის ყველა ფენაში მოიპოვეს მომხრეები. მათ მშრომელებს ყველგან მკაფიო და გასაგები პროგრამები წარუდგინეს; დამსაქმებლები, ყველგან თავიანთ უფლებებსა და მოთხოვნებში დარწმუნებულები, გათვითცნობიერებული მშრომელების მიერ წარდგენილი კონკრეტული მოთხოვნების პირისპირ აღმოჩნდნენ. მე ვნახე მსახურების მოთხოვნები; მათ სურთ სამუშაო საათების ლიმიტირება, ჯანსაღი საკვები, სამედიცინო დახმარება ავადმყოფობის შემთხვევაში, თავაზიანი მოპყრობა, სამსახურიდან უსაფუძვლო დათხოვნის აღკვეთა. მსოფლიოში არსად, ამერიკაშიც კი, სადაც შინამოსამსახურეებს ჩვენც რომ არ ვიცით ისეთი მოთხოვნები აქვთ, მსახურებს ამდენით არ უზრუნველყოფენ.

On voit clairement le but visé par les révolutionnaires: créer un (102) état de troubles tel que le gouvernement soit obligé d'accorder les réformes politiques demandées.

რევოლუციონერების მიზანი ნათელია: შექმნან ისეთი არეულობა, რომლის დროს მთავრობა იძულებული იქნება, რომ გაატაროს მოთხოვნილი პოლიტიკური რეფორმები.

Georges Bibesco a engagé un interprète, le Tcherkesse Hassan. Hassan est censé parler le russe, le persan, le français. Il nous accompagnera à Téhéran. Sait-il le persan? Je l'ignore. Quant au français, il le parle par gestes. Ainsi faisons-nous pour le russe. Quoi qu'il en soit, Hassan, coiffé du bonnet frisé, revêtu de la grande *bourka* nationale, portant sur sa poitrine vingt-quatre petits étuis qui devraient contenir de la poudre, mais dans lesquels nous mettrons de la poudre de riz pour nos compagnes, est fort beau à regarder. Et notre prestige s'en accroît. (105)

ჟორჟ ბიბესკომ თარჯიმანი, ჩერქეზი ჰასანი, დაიქირავა. სავარაუდოდ, მან რუსულად, სპარსულად და ფრანგულად უნდა ილაპარაკოს. ის ჩვენ თეირანში გამოგვყვება. იცის კი სპარსული? არ ვიცი. რაც შეეხება ფრანგულს, შესტებით საუბრობს, ასევეა რუსულიც. ყოველ შემთხვევაში, ჰასანი, კრაველის ქუდითა და ეროვნული დიდი ნაბადით, გულ-მკერდზე ოცდაოთხი პატარა სამასრით, რომელშიც თოფის წამალი უნდა ეყაროს, მაგრამ რომლებშიც ჩვენი თანამგზავრი ქალბატონების გამო ბრინჯის ფხვნილს ჩავყრით, ძალიან კარგი სანახავია. ჩვენი პრესტიჟი იზრდება.

თარგმნა ირინერ ნაჭყებიამ